

შს ტელეკომპანია „ეგრისის“ ზონაში მოქმედი ადგილობრივი  
საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალი რესურსთან დაშვების  
შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტი)

ქ.სენაკი

2019 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია სენაკის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“).

სენაკის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 მომსახურენა იწარმოება DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3, Guard interval:1/8) პარამეტრებითინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა;

1.2 ოფერენტის კუნთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდების და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევს მისამართია: სენაკი, ახალგაზრდობის ხეივანი N9

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერენტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე

1.4 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: ციფრული ინტერფეისი (SD) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის“ კუნთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 სენაკის ზონაში ღია ეთერით 1მგბტ/წმ-ით გავრცელებისთვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1 მგბტ/წმ 334 (სამასორმოდგადოთხი) ლარს დღგ-ს გარეშე (2.15 მგბტ/წმ - 739 დღგ-ს გარეშე).

ციფრული ინტერფეისი (HD) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 8მგბტ/წმ 2.748 (ორიათასსშვიდასორმოდგადრვა) ლარს დღგ-ს გარეშე

3. „ოფერენტის“ კუნთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარადგინოს:

- ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
- დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერენტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2019 წლის 01 აპრილი და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე - 2021 წლის 01 აპრილამდე

მერაბ ჩიქობავა

შპს ტელეკომპანია „ეგრისის“ დირექტორი

